ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი

2019-2020 სასწავლო წელი

სტუდენტების გამოკითხვის ძირითად მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტში მიღებული განათლების ხარისხის შესახებ კმაყოფილების განსაზღვრა და სხვადასხვა სერვისების შეფასება. კვლევის მეთოდს წარმოადგენდა ონლაინ გამოკითხვა. კვლევის ინსტრუმენტი იყო რაოდენობრივი კვლევის კითხვარი.

სულ გამოკითხვაში მიიღო მონაწილეობა 223 სტუდენტმა, მათ შორის უმეტესობა იყო ქალი (70%).



რესპონდენტთა შორის ყველაზე მეტი (78%) აღმოჩნდნენ 18-22 წლის ასაკობრივი ინტერვალის მქონე სტუდენტები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო მაგისტრატურის პროგრამის 15 სტუდენტმა და დოქტორანტურის პროგრამების 12 სტუდენტმა.



ინფორმირებულობა და ინფორმაციის მიღების წყაროები

სტუდენტებს უნდა დაესახელებინათ ძირითადად რა საშუალებებით იღებენ ინფორმაციას:

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის შესახებ;
- არსებული სტიპენდიებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ;
- სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული სხვადასხვა შეღავათების შესახებ;
- უნივერსიტეტში შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძებების შესახებ,

გამოკითხვამ გამოავლინა, რომ სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების ძირითად წყაროებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თსუ-ს ვებ-გვერდი, შემდეგ სხვადასხვა მუხლებში ელექტრონული ფოსტა ან LMS ანგარიში ან ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ან სხვა სტუდენტები.

აღსანიშნავია, რომ წლის გამოკითხვასთან შედარებით გაზრდილია თსუ-ს ვებ-გვერდის, როგორც სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების ძირითადი წყაროს მნიშვნელობა.

თუმცა პრობლემურ საკითხად რჩება ინფორმაციის მიღება რანჟირებულად შემდეგი საკითხების შესახებ:

1.სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული სხვადასხვა შეღავათები;
2.არსებული სტიპენდიებისა და გაცვლითი პროგრამები;
3.უნივერსიტეტში შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძებები.



სასწავლო პროცესის შეფასება

სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ სასწავლო პროცესი სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით (იხ. ცხრილი), დათანხმება-არდათანხმების ლიკერტის 5 სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 5 – „სრულიად ვეთანხმები“. შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის არქონის შემთხვევაში - 6.

გამოკითხვამ გამოავლინა, რომ ყველაზე დაბალი შეფასება, ანუ სტუდენტები სრულიად არ ეთანხმებიან რანჟირებულად შემდეგ დებულებებს:
1კვლევითი ლაბორატორიები საკმარისი რაოდენობითაა
2. უცხოური ენების კაბინეტების მოწყობა (მაგ: შესაბამისი აპარატურა სმენითი, მეტყველების სავარჯიშოებისთვის და ა.შ.) სავსებით მისაღებია
3.სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები
4. პრაქტიკული მეცადინეობები კარგად არის ორგანიზებული, მისი მიზნები, ამოცანები და შინაარსი შეესატყვისება სტუდენტების საჭიროებებს;
5. სალექციო განრიგი (ცხრილი) კარგადაა განაწილებული.

ხოლო ყველაზე მაღალი შეფასება ანუ სტუდენტები სრულიად ეთანხმებიან რანჟირებულად შემდეგ დებულებებს:
1. უნივერსიტეტში არსებული კარიერის დაგეგმვის სერვისები ეფექტურია
2.უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დაფინანსებას/თანადაფინასნებას სტუდენტების სხვადასხვა პროექტში მონაწილეობისთვის
3. უნივერსიტეტში არსებობს სტაჟირების/პრაქტიკის გავლის შესაძლებლობები

კვლევამ ყველაზე პრობლემური შემდეგი ტენდენციები გამოავლინა
4. საჭიროა პრაქტიკული მეცადინეობების საათების გაზრდა
5.უცხოური ენების კაბინეტების მოწყობა (მაგ: შესაბამისი აპარატურა სმენითი, მეტყველების სავარჯიშოებისთვის და ა.შ.) სავსებით მისაღებია

კვლევის შედეგად ნაწილობრივ მიღებული იქნა დიამეტრალურად საწინააღმდეგო შედეგები, რაც შემდგომ ეტაპზე ჩაღრმავებულ გამოკითხვას მოითხოვს.

სალექციო განრიგი (ცხრილი) კარგადაა განაწილებული	56	42	57	39	34	5
ჩემი სპეციალობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სასწავლო კურსებს საათების ადეკვატური რაოდენობა ეთმობა	51	45	52	29	48	8
საჭიროა თეორიული მეცადინეობების საათების გაზრდა	54	37	46	30	52	14
საჭიროა პრაქტიკული მეცადინეობების საათების გაზრდა	19	18	28	27	97	44
თეორიული მეცადინეობები კარგად არის ორგანიზებული, მისი მიზნები, ამოცანები და შინაარსი შეესატყვისება სტუდენტების საჭიროებებს	28	41	45	49	62	8
პრაქტიკული მეცადინეობები კარგად არის ორგანიზებული, მისი მიზნები, ამოცანები და შინაარსი შეესატყვისება სტუდენტების საჭიროებებს	56	35	41	40	51	10
ლექტორის კომპეტენცია სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია	26	17	42	49	77	22
ლექტორები მზად არიან სტუდენტების კონსულტირებისა და მხარდაჭერისთვის	26	27	46	43	69	22
სასწავლო მასალა სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია	50	33	44	46	50	10
სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები	61	46	40	45	32	9
აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობა (ინფრასტრუქტურა) სწავლების მაღალი ხარისხის ადეკვატურია	52	50	42	40	39	10
კვლევითი ლაბორატორიები საკმარისი რაოდენობითაა	78	48	33	24	20	30
კვლევითი ლაბორატორიების ხარისხი (მოწყობა, ინვენტარი და ა.შ.) სრულიად მისაღებია	68	45	35	29	21	35
უცხოური ენების კაბინეტების მოწყობა (მაგ: შესაბამისი აპარატურა სმენითი, მეტყველების სავარჯიშოებისთვის და ა.შ.) სავსებით მისაღებია	73	41	37	19	24	39
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (მაგ. აუდიტორიები, სარეკრეაციო სივრცეები და ა.შ)	42	57	49	41	33	11

მოწესრიგებულია, სათანადოდ არის ორგანიზებული						
საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და საჯაროა სტუდენტისთვის	34	35	34	54	65	11
უნივერსიტეტის LMS სერვისი ეფექტურია	44	41	49	37	53	9
შეფასების ფორმებისა, კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის	34	33	36	46	71	13
სტუდენტთა შეფასების სისტემა ობიექტური და გამჭვირვალეა	42	30	39	44	66	12
გამოცდები კარგად არის ორგანიზებული	43	24	42	38	72	14
უნივერსიტეტში აქტიურად ტარდება დამატებითი შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	46	33	45	34	41	34
უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა საერთაშორისო პროექტებში ჩართვას	51	32	37	26	53	34
უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დაფინანსებას/თანადაფინასნებას სტუდენტების სხვადასხვა პროექტში მონაწილეობისთვის	40	25	34	23	50	61
ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული კარიერული სერვისების შესახებ ხელმისაწვდომია	52	29	26	32	47	47
უნივერსიტეტში არსებული კარიერის დაგეგმვის სერვისები ეფექტურია	58	25	32	24	32	62
უნივერსიტეტში არსებობს სტაჟირების/პრაქტიკის გავლის შესაძლებლობები	51	30	29	26	38	59
უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს	29	31	43	40	70	20
უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით შეძლებთ სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლას	21	26	48	38	88	12
უნივერსიტეტი იცავს სტუდენტთა უფლებებს	39	29	41	32	72	20
უნივერსიტეტს აქვს სტუდენტების მხარდადამჭერი სხვადასხვა სერვისი	33	20	26	32	86	36

(სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა და ა.შ.)						

გამოკითხვაში ნეიტრალური პასუხების რაოდენობამ შეადგინა 1198, 721-ს პასუხი არ ჰქონდა, ხოლო 2382 პასუხი აღმოჩნდა ნეგატიური და 2339 პოზიტიური.



სხვადასხვა სერვისებით კმაყოფილება

ბიბლიოთეკის რესურსებით და მომსახურებით კმაყოფილება

სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ კმაყოფილება სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით (იხ. ცხრილი), ლიკერტის 5 სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს "ძალიან უკმაყოფილო" ხოლო 5 -"ძალიან კმაყოფილი". შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის არქონის შემთხვევაში აირჩიეთ პასუხი - 6.
ბიბლიოთეკის სხვადასხვა რესურსებით და მომსახურებით კმაყოფილების დონე სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს, რაც უფრო მაღალი შეფასებაა წინა წელთან შედარებით.



მიღებული განთლების დონით კმაყოფილება

შეკითხვაზე შეესაბამება თუ არა უნივერსიტეტში მიღებული განათლების შედეგები თქვენს მოლოდინებს?

როგორც კვლევის მონაცემები აჩვენებს, სტუდენტების მიერ უნივერსიტეტში მიღებული განათლების დონით კმაყოფილია გამოკითხულთა 87,4%.



სწავლისას წარმოქმნილი სხვადასხვა პრობლემის შემთხვევაში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად მიმართავენ ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენელს ან რომელიმე საგნის პედაგოგს.
სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს და სხვა სტუდენტები/ჯგუფელებს სტუდენტები მიმართავენ თანაბრად.



არსებული პრობლემა სრულად მოუგვარდა 80 სტუდენტს და ნაწილობრივ 71 სტუდენტს.



შესაბამისი სამსახურების არ მიმართვის მიზეზები რესპონდეტებს შორის გადანაწილებული იქნა სხვადასხვა პასუხებზე, უდიდესი წილი დაიკავა პასუხმა - თავად მოვაგვარე.



საუნივერსიტეტო რეგულაციებიდან, წესებიდან, დოკუმენტებიდან და პროცედურებიდან სტუდენტები ყველაზე მეტად იცნობენ გამოცდების ჩატარების წესს და კრედიტების აღიარების წესს, სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესს.
ყველაზე ნაკლებად-თსუ წესდებას, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებს და ეთიკის კოდექსს.


აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები
61
66
43
63
გამოცდების ჩატარების წესი
73
130
15
18
მობილობის წესი
57
78
46
52
კრედიტების აღიარების წესი
76
71
40
46
სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
72
74
46
41
თსუ შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები
35
71
60
67
ეთიკის კოდექსი
42
70
58
63
თსუ წესდება
19
69
62
83
0
20
40
60
80
100
120
140


83
62
69
19
63
58
70
42
67
60
71
35
41
46
74
72
46
40
71
76
52
46
78
57
15
15
73
130
63
43
66
61
საერთოდ არ ვიცნობ
ნაკლებად ვიცნობ
გარკვეულწილად ვიცნობ
კარგად ვიცნობ

კმაყოფილება

აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, ზოგადად უნივერსიტეტის / მისი გარემოს მიმართ განწყობა უფრო დადებითია - გამოკითხულთა უმრავლესობა ურჩევდა სხვა სტუდენტებს თსუ-ში ჩაბარებას (68,1%).



აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, კმაყოფილების მაჩვენებლებს მატების ტენდენცია ახასიათებს.